



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბათუმის ნავიგაციის
სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების
შემოწმების შესახებ¹



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია მოსაშვილი, სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნინო ამირანაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2021

¹ შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	245433623
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	თამარ მეფის გამზირი N38, ბათუმი, 6010, საქართველო
ვებ-გვერდი	https://bntu.edu.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	N01, 13.02.2019
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	13.02.2025

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

2021 წლის 30 ივნისის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ბრძანების N 652616-ის საფუძველზე შედგა ექსპერტთა ჯგუფი შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ. მონიტორინგი განხორციელდა ელექტრონული პლატფორმა Zoom-ის საშუალებით 2021 წლის 29 ივნისს. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ მასალებს და გარკვეული საკითხები დააზუსტა ინტერვიუების საშუალებით, ისევე, როგორც დამატებით გამოთხოვილი მასალების საფუძველზე და წარმოადგინა დასკვნა. მუშაობის პროცესში უნივერსიტეტისგან ექსპერტთა ჯგუფთან კომუნიკაცია იყო დროული, სამუშაო პროცესი და შეხვედრები წარიმართა თანამშრომლობით რეჟიმში. ექსპერტთა მიერ შეფასდა უსდ-ების ავტორიზაციის მე-2 და მე-6 სტანდარტები, რაზეც გაცემული იყო რეკომენდაციები და ასევე შეფასდა მათთან დაკავშირებული საკითხები.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: **29 ივნისი, 2021 წელი** _____

<p>უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):</p>	<p>აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:</p>
<p>2.1 ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა შექმნას სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ეყოლება საკმარისი რაოდენობის თანამშრომელი და იმუშავეს მხოლოდ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.</p>	<p>შესრულებულია.</p>
<p>2.1 ბნსუ-მ უნდა დაამატოს კიდევ ერთი თანამშრომელი, რომელიც ჩართული იქნება არადასაქმებული სტუდენტების პრაქტიკასა და დასაქმებაში, ან ამ სერვისებისთვის შეირჩეს არსებული თანამშრომელი, რომელიც შეასრულებს ყველა იმ მოვალეობას, რომელიც დაკისრებული იქნება შესაბამისი ერთეულის დებულების მიხედვით.</p>	<p>შესრულებულია. სასურველია სტუდენტების შემდგომი ინფორმირება აღნიშნული სამსახურის არსებობასთან დაკავშირებით.</p>
<p>2.1 ბნსუ-ს მასშტაბით უნდა გაუმჯობესდეს ინგლისური ენის ცოდნის დონე.</p>	<p>შესრულებულია</p>
<p>2.2 აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემისთვის საჭიროა მეტი განვითარება PDCA ციკლის მიხედვით</p>	<p>ნაწილობრივ შესრულებულია. საჭიროა ამ მიმართულებით დამატებითი რესურსის მობილიზება და ადამიანური რესურსების სამსახურის ჩართვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესში</p>
<p>2.2 მეტი განვითარება საჭირო სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის კუთხით, გასათვალისწინებელია უმაღლესი განათლების პროგრამების სხვადასხვა მახასიათებლები/საჭიროებები მათი საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და სწავლის სფეროს შესაბამისად.</p>	<p>ნაწილობრივ შესრულებულია. საჭიროა, მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისას აქტიური და პასიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობისა და პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლის გარდა, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (მაგ: მატერიალური რესურსი, აკადემიური პერსონალის რაოდენობა)</p>
<p>2.2 ბნსუ-მ უნდა გამოყოს საკმარისი ადამიანური და ინფორმაციული რესურსი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურად განხორციელებისთვის (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა და ინტერნეტ გამოკითხვის სისტემის შემუშავება)..</p>	<p>ნაწილობრივ შესრულებულია. საჭიროა შესაბამისი კომპეტენციის ადამიანური რესურსის დამატება კითხვარების შედგენისა და დამუშავებისთვის</p>
<p>2.2 ბნსუ-მ უნდა გადახედოს ხარისხის უზრუნველყოფის და QMS სერვისების მარეგულირებელ დოკუმენტებს, რათა</p>	<p>შესრულებულია</p>

თავიდან აიცილოს თანამშრომლების პასუხისმგებლობათა ურთიერთგადაკვეთა.	
2.3 უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს მექანიზმები პლაგიატის აღმოსაჩენად (მაგ.: პლაგიატის აღმოჩენის კომპიუტერული პროგრამა).	შესრულებულია
2.3 ყველა სტუდენტს მათი ჩარიცხვისთანავე უნდა მიეცეს მკაფიო დარიგება პლაგიატის თაობაზე; ბნსუ-მ უნდა მიიღოს რიგი ალტერნატიული მექანიზმები სტუდენტთა ინფორმირებისთვის ინსტიტუციის პოლიტიკაზე პლაგიატთან დაკავშირებით და მის შედეგებზე.	შესრულებულია
2.3 ბნსუ-ს პლაგიატიზმის პროცედურები უნდა იყოს მკაცრად კონტროლირებადი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი წარმოადგენდნენ პლაგიატიზმის გამოვლენისა და აღკვეთის აქტიურ და ეფექტიან საშუალებას.	შესრულებულია
6.1 მონაწილეების მიღება საერთაშორისო კვლევით აქტივობებში.	შესრულებულია.
6.1 კვლევის შედეგების გამოყენება საგანამათლებლო პროგრამის განვითარებასა და სასწავლო საქმიანობაში.	შესრულებულია. კვლევის შედეგები შეტანილია დამხმარე მასალებად სილაბუსებში და ხდება მათზე სტუდენტთა ინფორმირებულობა.
6.1 ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის დამყარება მათთან კვლევითი მიღწევების გაზიარების მიზნით.	ნაწილობრივ შესრულებულია. სასურველია უფრო მეტი კავშირები ეკონომიკურ აგენტებთან კვლევითი საქმიანობის შედეგების გაზიარების მიზნით.
6.1 კვლევითი სამუშაოების აქტიურად განხორციელება.	შესრულებულია.
6.1 პროფესიულ ფორუმებსა და ბლოგებში მონაწილეების მიღება.	შესრულებულია.
6.1 კვლევით სამუშაოებში სტუდენტების ჩართვა.	ნაწილობრივ შესრულებულია. უფრო მეტად არის საჭირო სტუდენტთა კვლევით სამუშაოებში ჩართულობა.
6.2 საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევით საზოგადოებებში ჩართვა.	შესრულებულია.
6.2 საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების განვითარებაზე ზრუნვა და მათი მართვა.	შესრულებულია.
6.2 საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიღება.	შესრულებულია.
6.2 საერთაშორისო დონეზე კვლევების მხარდაჭერა და ეფექტური სისტემის განვითარება.	შესრულებულია.
6.2 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი ინტერესების ზრდა და მათი მხარდაჭერა.	შესრულებულია.

6.2 კვლევით საქმიანობაში ახალი პერსონალის მოსაზიდად და მხარდასაჭერად ეფექტური სისტემის შექმნა.	შესრულებულია.
6.3 პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის წარდგენა.	შესრულებულია.
6.3 კვლევით სამუშაოებსა და აქტივობებში სტუდენტების ჩართვა.	შესრულებულია. თუმცა სასურველია უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობა კვლევით პროექტებში.
6.3 ანგარიშების გამოქვეყნება განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შესახებ.	შესრულებულია.
6.3 კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარების გეგმაში შეფასების შედეგების ასახვა.	შესრულებულია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა პერსონალის საქმიანობის შეფასების მონაცემების გამოყენებას ჰქონდეს სისტემური და ციკლური ხასიათი. ამასთანავე, გაძლიერდეს ადამიანური რესურსების სამსახურის როლი და გაიზარდოს მისი ჩართულობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების პროცესში;
- მნიშვნელოვანია გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რესურსი კითხვარების შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწისა და ონლაინ გამოკითხვების ჩატარების დანერგვის მიმართულებით.
- მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისას აქტიური და პასიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობისა და პროგრამიდან განთავსების მაჩვენებლის გარდა, უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (მაგ: მატერიალური რესურსი, აკადემიური პერსონალის რაოდენობა).

რჩევები

- გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირებულობა პრაქტიკისა და დასაქმების სამსახურის ფუნქციების შესახებ;
- განახლდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ორგანიზაციული სტრუქტურა;
- სასურველია, პლაგიატის პრევენციის პროგრამის გამოყენება დაინერგოს შუალედური და საბოლოო შეფასებების პროცესშიც ისეთ კურსებში, სადაც ეს რელევანტურია;
- სასურველია უფრო მეტი კავშირები ეკონომიკურ აგენტებთან კვლევითი საქმიანობის შედეგების გაზიარების მიზნით;
- სასურველია მოხდეს სტუდენტთა მეტი ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ის მისია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. საგანმანათლებლო პროგრამები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. უსდ-ის პერსონალი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)



2. ნინო, ამირანაშვილი (წევრი)



2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

<p>2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</p> <p>აღნიშნული სტანდარტის კომპონენტში გამოთქმული რეკომენდაციების შესაბამისად, უნივერსიტეტს უნდა გაეაქტიურებინა მუშაობა 2 ძირითადი მიმართულებით: 1. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესება; 2. სტრუქტურული ერთეულების შექმნა ან/და მოდიფიცირება (ინტერნაციონალიზაციისა და სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით)</p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ 2.1 სტანდარტის კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციები შესრულებულია და იგი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:</p> <p>შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი თავის მისიიდან და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებაზეა ორიენტირებული, მათ სურთ შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში საზღვაო განათლების დარგში ლიდერის იმიჯის მოპოვება. სწორედ ამ მიზნით მათ გადადგეს პოზიტიური ნაბიჯები და ინტერაციონალიზაციის კუთხით ჩაატარეს მთელი რიგი აქტივობები, მათ შორის: მონაწილეობა საერთაშორისო დარგობრივი და ინგლისური ენის ტრენინგებში, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, საერთაშორისო ონლაინ ვებინარები, სემინარები, ვორკშოპები, საჯარო ლექციები სხვადასხვა თემებზე. პერსონალი მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში საზღვარგარეთ, ასევე უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა 7 კონფერენცია. უნდა აღინიშნოს საინფორმაციო შეხვედრები, რომელთაც უცხოელ პარტნიორებთან მართავდა უნივერსიტეტი. 4 პროფესორი მონაწილეობდა პერსონალის მობილობის პროგრამებში უცხოეთში, ისევე, როგორც სტუდენტებს ჰქონდათ ვიზიტები საზღვარგარეთ. პერსონალი აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო დარგობრივ ფორუმებში. როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, ყველა ეს ღონისძიება უნივერსიტეტის მხარდაჭერით განხორციელდა.</p> <p>ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები - კვლევების ცენტრი და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.</p> <p>ამასთანავე, უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართულების პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის პრაქტიკისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნის მიზნით რეორგანიზდა პრაქტიკისა და დასაქმების სამსახური - ამჟამად სამსახურს ჰყავს უფროსი, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მასშტაბით პრაქტიკისა და დასაქმების შესაძლებლობების შექმნაზე, ხოლო პერსონალი, რომელიც ავტორიზაციის ვიზიტის დროს ასრულებდა სამსახურის უფროსის მოვალეობას, ამჟამად გადაყვანილია მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე და მუშაობს საზღვაო სპეციალობის სტუდენტთა დასაქმების მიმართულებით.</p>

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ბათუმის საზღვაო ნავიგაციის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, თუმცა ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს არ აქვთ ინფორმაცია პრაქტიკისა და დასაქმების სამსახურის ფუნქციონირების შესახებ.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
- უნივერსიტეტის მისია;
 - ვებ გვერდი;
 - ინტერნაციონალიზაციისა და სტუდენტთა კვლევითი აქტოვების ამსახველი მასალა;
 - ინგლისური ენის ტრენინგ კურსის ჩატარების დამადასტურებელი მასალა;
 - პარტნიორთა კრების ოქმი 01/2019, 04.02.19;
 - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებები: 02-04, 20.01.20 და 02-18, 21.04.20;
 - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები;
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

- რჩევები:**
- გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირებულობა პრაქტიკისა და დასაქმების სამსახურის ფუნქციების შესახებ;
 - განახლდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ორგანიზაციული სტრუქტურა.

- შეფასება:**
- მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- o უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- o უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ვიზიტის დროს სტანდარტის 2.2. კომპონენტთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა: 1. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში ჩართული პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის გაუმჯობესებას; 2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურად განხორციელებისთვის შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას (პერსონალის და რესურსების გაზრდა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გამიჯვნა) 3. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებას

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა მეტწილად გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტებისგან მიღებული რეკომენდაციები, კერძოდ:

უნივერსიტეტში დაწყებულია პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესი და ერთეულ შემთხვევებში შეფასებების მონაცემები გამოყენებულია გაუმჯობესებისთვის, თუმცა, დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა შეფასების მონაცემების გამოყენებას ჰქონდეს სისტემური და ციკლური ხასიათი. ამასთანავე, საჭიროა გაძლიერდეს ადამიანური რესურსების სამსახურის როლი და გაიზარდოს მისი ჩართულობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების პროცესში

ექსპერტთა რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტმა მოახდინა ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის სისტემის მართვის სამსახურების რეორგანიზაცია. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში გაერთიანდა ხარისხის სისტემის მართვის სამსახური და გაზარდა სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა, თუმცა აკადემიური პროგრამებისა და სტუდენტების რაოდენობის დაგეგმილი ზრდის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის როგორც ადამიანური, ასევე მატერიალური რესურსი კითხვარების შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწისა და ონლაინ გამოკითხვების ჩატარების დანერგვის მიმართულებით.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ მოთხოვნილი დოკუმენტების ნუსხაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებასთან ერთად წარმოდგენილი იყო ხარისხის სისტემის მართვის დებულებაც, რომელიც ამჟამად აღარ უნდა წარმოადგენდეს მოქმედ დოკუმენტს. რადგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან გასაუბრებისა და სხვა რელევანტური დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება ამ ორი სამსახურის რეორგანიზაცია რეკომენდაციის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მხედველობაში აღარ მიიღო ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი.

ვიზიტის განმავლობაში მოთხოვნილი დოკუმენტების (ფაკულტეტების და აკადემიური საბჭოს ოქმები, პროგრამის შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები) ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტში კონტინგენტის დაგეგმვა ხდება წინასწარ შემუშავებული წესის მიხედვით, თითოეულ პროგრამაზე არსებული აქტიური და პასიური სტატუსების მქონე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა რეკომენდაციის სრულად შესრულების მიზნით, საჭიროა მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისას აქტიური და პასიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობისა და პროგრამიდან განთავისუფლების მაჩვენებლის გარდა, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (მაგ: მატერიალური რესურსი, აკადემიური პერსონალის რაოდენობა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ადამიანური რესურსების სამსახურის დებულება;
- სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრასთან დაკავშირებული დოკუმენტები (ფაკულტეტების და აკადემიური საბჭოს ოქმები, პროგრამის შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა პერსონალის საქმიანობის შეფასების მონაცემების გამოყენებას ჰქონდეს სისტემური და ციკლური ხასიათი. ამასთანავე, გაძლიერდეს ადამიანური რესურსების სამსახურის როლი და გაიზარდოს მისი ჩართულობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების პროცესში;
- მნიშვნელოვანია გაიზარდოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რესურსი კითხვარების შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწისა და ონლაინ გამოკითხვების ჩატარების დანერგვის მიმართულებით.
- მისაღები კონტინგენტის დაგეგმვისას აქტიური და პასიური სტატუსის მქონე სტუდენტთა რაოდენობისა და პროგრამიდან განთავისუფლების მაჩვენებლის გარდა, უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (მაგ: მატერიალური რესურსი, აკადემიური პერსონალის რაოდენობა).

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- o უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- o უსდ-ს დანერგული აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- o უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებაში უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ატორიზაციის პროცესში მიღებული სამივე რეკომენდაცია, კერძოდ:

2019 წელს შეიძინა პროგრამა „Urkund“, რომლითაც სარგებლობს სამაგისტრო ნაშრომებისა და სამეცნიერო ურნალში გამოსაქვეყნებლად მიღებული სტატიების შეფასების პროცესში.

საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე შეიმუშავა „წერიტი და ზეპირი კომუნიკაციისა“ და „კვლევის მეთოდოლოგიის“ კურსები, რომელთა ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთანავე, 2021 წელს უნივერსიტეტში შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი.

უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ აკადემიური პერსონალი იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს პლაგიატის პრევენციისთვის, ხოლო სტუდენტები ინფორმირებულები არიან აკადემიური არაკეთილსინდისიერების საწინააღმდეგო სანქციების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- პროგრამა „Urkund“-ში სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია, პლაგიატის პრევენციის პროგრამის გამოყენება დაინერგოს შუალედური და საბოლოო შეფასებების პროცესშიც ისეთ კურსებში, სადაც ეს რელევანტურია.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გამძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშეწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

<p>6.1 კვლევითი საქმიანობა</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</p> <p>ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა 2021-2025 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, რომელიც შესაბამისობაშია მისიასთან. ამ დოკუმენტის თანახმად, საწყის ეტაპზე განხორციელდა ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიცირება, ჩამოყალიბდა სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები, რომელსაც წარმოადგენს სამეცნიერო თანამშრომლობის გავითარება, აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა სამეცნიერო პოტენციალის ხელშეწყობა, მოტივაცია, წახალისება, ბნსუ-ს სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება. გაკეთებულია SWOT ანალიზი. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესაფასებლად განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები გაწერილია. ასევე მოცემულია სამოქმედო გეგმა (2020-2025 წლების). უნივერსიტეტმა წარმოადგინა 2021 წელს განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჩამონათვალი: ბნსუ-ს ერთი პროფესორი მონაწილეობს ავსტრალიის საზღვაო კოლეჯის მიერ ინიცირებულ საზღვაო პროექტში, გამოცხადებულია შიდა კვლევითი პროექტის კონკურსი, შემუშავდა საერთაშორისო პროექტის კონცეფცია, ჩატარდა და მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებში, შეარჩიეს სტუდენტები საერთაშორისო პროექტში მონაწილეობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა მეტი ჩართულობა საჭირო სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში, რაც ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა. ჩატარებულია ვებინარები და ტრენინგები, საჯარო ლექციები, როგორც დარგობივი, ასევე ზოგადი საკითხების ირგვლივ. ბნსუ მონაწილეობდა ფორუმებსა და სხვადასხვა ონლაინ შეხვედრებში. 2020 წელს ბნსუ-ს თანაორგანიზატორობით 9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა.</p> <p>ავტორიზაციის შედეგად გაცემულ რეკომენდაციაზე „ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის დამყარება მათთან კვლევითი მიღწევების გაზიარების მიზნით“ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელა ქმედებები და წარმოდგენილია ეკონომიკურ აგენტებთან დადებული ხელშეკრულებები, მათ დაამყარეს კავშირები 11 ეკონომიკურ აგენტთან. წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულებები, საიდანაც ჩანს სამეცნიერო-კვლევითი შედეგების ინტეგრირების საკითხებიც. უნივერსიტეტი გეგმავს უფრო მეტ ეკონომიკურ აგენტთან თანამშრომლობას, მათ შორის კვლევითი საქმიანობის შედეგების დანერგვის მიზნით.</p> <p>ბნსუ-მ წარმოადგინა 2020 წელს კვლევითი ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში. სამეცნიერო-კვლევების შედეგების გამოყენება ხდება საგანმანათლებლო პროცესში. ეს დადასტურდა, როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტების მიერ.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი; • მისია; • ეკონომიკური აგენტების ჩამონათვალი; • კვლევების ცენტრის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში. • ინტერვიუების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>

რჩევები:

- სასურველია უფრო მეტი კავშირები ეკონომიკურ აგენტებთან კვლევითი საქმიანობის შედეგების გაზიარების მიზნით;
- სასურველია მოხდეს სტუდენტთა მეტი ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- o უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- o ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- o უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები ბნსუ-მ ასახა დოკუმენტებში, როგორცაც სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგია, საერთაშორისო ურთიერთობები და ინტერნაციონალიზაცია. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში შეიქმნა კვლევების ცენტრი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება ფაკულტეტებზე და აკადემიური პერსონალის დატვირთვაში შედის კვლევითი საქმიანობისთვის გაწეული შრომა. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო შრომების და მონოგრაფიების გამოცემაში, ცხადდება ადგილობრივი გრანტები, რომელთა დაფინანსების პროცედურები გამჭვირვალეა და ეს დადასტურდა როგორც დოკუმენტურად, ასევე პერსონალთან გასაუბრების შედეგადაც. ვებ გვერდის საშუალებით ყველასთვის ცნობილია გრანტებთან დაკავშირებული საკითხები. უნივერსიტეტმა იზრუნა ახალი კადრების მოზიდვაზე, მათ შორის ახალგაზრდა კადრების კუთხით. ბიუჯეტში კვლევებზე გამოყოფილი თანხების დინამიკა მზარდია. ფინანსდება როგორც აკადემიური პერსონალის სამეცნიერო გამოცემები, ასევე მათი მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციებსა და ფორუმებში. პანდემიის პირობებში განხორციელდა ბევრი ასეთი აქტივობა, რაც შეეხება კონფერენციებს, საჯარო ლექციებს, ფორუმებს. საგნის განმახორციელებელმა პერსონალმა მათ მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობის შედეგები შეიტანა სილაბუსებში დამხმარე მასალად. ამ მიზნით ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა სილაბუსები, სადაც ეს მასალებია ასახული. ეს სილაბუსებია: სტრატეგიული მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა და საერთაშორისო ბიზნესი. სტუდენტები ადასტურებენ პრაქტიკული კვლევების შედეგების შესახებ პროფესორების მიერ წარმართულ მეცადინეობებს. მოხდა ჟურნალის სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის გაძლიერება და ექსპერტთა საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს უცხოელი წევრებიც. უნივერსიტეტის მხარდაჭერით გამოიცა მონოგრაფია ინგლისურ ენაზე.

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, სადაც მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება და სტრუქტურა, აკადემიური კეთილსინდისიერების წესები, ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგია;
- საერთაშორისო ურთიერთობები და ინტერნაციონალიზაციის პროცესის შეფასება;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

- უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბნსუ-ს 2019 წელს შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები, კერძოდ, სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების წესი, რომლის მიზანია ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ამ აქტივობების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს თავად უნივერსიტეტი სხვა ფონდებთან, ორგანიზაციებთან, სპონსორებთან ერთად. ეფექტიანობის შეფასება კი ხდება პირველ რიგში ინფორმაციის შეროვებით. ამ ინფორმაციის შეჯამება და ანალიზი ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. დასკვნას განიხილავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. დოკუმენტი შეიცავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნით შემუშავებულ სხვადასხვა რელევანტურ მაჩვენებლებს. აქვეა მოცემული აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მოთხოვნები, ხოლო წახალისების მექანიზმებში აღნიშნულია, რომ მაღალი რეიტინგის მქონე პირებისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც არამატერიალური, ასევე მატერიალური წახალისების ფორმები.

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს 2020 წელს განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში, სადაც მოცემულია როგორც განხორციელებული აქტივობები, ასევე მიმდინარე აქტივობები. პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება ხდება ყოველწლიურად, რაც მათი აფილირების შემადგენელი ნაწილია. აკადემიური პერსონალი ავსებს წინასწარ მომზადებულ ფორმას, რომელის ანალიზიც შემდგომ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. აღნიშნული პროცედურები დადასტურდა შესაბამისი ინტერვიუების დროს. აღნიშნული დოკუმენტი საჯაროა და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის ვებ გვერდის საშუალებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწორედ ამ მასალების საფუძველზე დაიგეგმა არაერთი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა, რაც შემდგომ განხორციელდა უნივერსიტეტმა ან დაგეგმა განსახორციელებლად. ეს აქტივობებია, საერთაშორისო მობილობები, ტრენინგები, შიდა გრანტები, რომელთაგან ერთი დასრულებულია და მისი შედეგები უკვე წარდგენილ იქნა კონფერენციაზე საფრანგეთში, ხოლო მეორე მიმდინარე გრანტია და უნივერსიტეტის მესამე მისიას შეეხება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების წესი;
- 2020 წელს განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობების ჩამონათვალი;
- ვებ გვერდი;

<p>- ინტერვიუს შედეგები.</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p>რჩევები:</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>შეფასება:</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან